



BioTopic

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა

ფონური მდგომარეობა

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოს ბიომრავალფეროვნებაზე სულ უფრო და უფრო მზარდ უარყოფით გავლენას ახდენს ჰაბიტატების რღვევა, რაც ტყის ფართობების სასოფლო-სამეურნეო მიწებად და საძოვრებად მასშტაბური გარდაქმნის შედეგია. ჰაბიტატების რღვევასთან ერთად, ზომადასული ნადირობისა და ბრაკონიერული ქმედებების შედეგად, მრავალი სახეობა აღმოჩნდა გადაშენების საფრთხის წინაშე, ან სულაც უკვე გადაშენდა. გარდა აღნიშნულისა, მრავალი სახეობისათვის საფრთხის შემქნელია, გზებისა თუ სხვადასხვა ნაგებობის მშენებლობის მიზნით, უკონტროლო ურბანული ზრდა და რეკრეაციული ტერიტორიების (მაგ. სამთო - სათხილამური რეგიონები) მასშტაბური განვითარება. ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციაზე (CBD) დაყრდნო-

ბით, საქართველომ შეიმუშავა ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, რომელიც ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში ქვეყნის მომავალ პოლიტიკას განსაზღვრავს. სტრატეგიის ამოსავალი პუნქტია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ამოქმედება - ბიომრავალფეროვნების ნეგატიური თუ პოზიტიური ტენდენციების ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და შესაბამისი ზომების მიღების მიზნით.

მიზნები

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ბიომრავალფეროვნების დანაკარგის მინიმუმად შემცირების (ან სულაც აღკვეთის) და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომე-

ბის განსაზღვრის წინაპირობაა. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მონაცემები, სხვა გარემოსდაცვით მონაცემებთან ერთად, მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის სამომავლოდ გარემოს კონსერვაციისა და სხვა ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სფეროების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მაგალითად, როგორც არის - სოფლის- მეურნეობა, მეტყვეობა, გზების მშენებლობა და მიწის დაგეგმარება. ამდენად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგები, მთავრობისა და სხვადასხვა სექტორში გადაწყვეტილებათა მიმღებთათვის, მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს.

განხორციელება

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის შექმნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობით, სამთავრობო ინიციატივაა. მონიტორინგის სისტემის შექმნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გამოხატავს სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილს საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის შექმნა გულისხმობს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მისი მდგრადი გამოყენებისათვის მთელი არსებული ცოდნის, გამოცდილებისა და რესურსების თავმოყრას.





გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიან სისტემაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარმოდგენილია ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის სახით, რომელიც კოორდინირებს უწყვეს იმ რეკომენდაციების მიღებას, რომლებიც, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, ბიომრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკური კურსისა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწისათვის შემუშავდება. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური აქტიურ როლს შეასრულებს სამინისტროს შიდა თანამშრომლობის, აგრეთვე პროექტების მომზადებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი მართვის მიმართულებით. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური პასუხისმგებელი იქნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის მუშაობის ანგარიშგებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის სამუშაო ჯგუფი

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის სამუშაო ჯგუფი სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სახით არის წარმოდგენილი: ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური, სატყეო დეპარტამენტი, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო. სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი არიან უნივერსიტეტები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, სამუშაო ჯგუფის წევრები აქტიურად მონაწილეობენ მონიტორინგის სისტემის მართვასა და განხორციელებაში.

ადგილობრივი ორგანიზაციები

ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავ-

შირებული და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროცესში ჩართული ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია მოწოდებულია ჩაერთოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის განხორციელებაში. რაც გულისხმობს აღნიშნულ პროცესში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საკონსულტაციო კომპანიებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების მონაწილეობას. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემაში ჩაბმის მსურველმა ორგანიზაციამ რეგისტრაცია უნდა გაიაროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურში. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის სპეციალური სამუშაო ჯგუფი კონსულტაციებისათვის მიმართავს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში მონაწილე ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც, თავის მხრივ, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის არაფორმალურ საკონსულტაციო ჯგუფს ქმნიან.

ინდიკატორები

მონიტორინგის ეროვნული სისტემა 25 ინდიკატორს მოიცავს, რომლებიც შერჩეულ იქნა საერთაშორისოდ აღიარებული და ფართოდ გამოყენებული OECD მოდელის მიხედვით. მოცემული ინდიკატორები ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების ზოგადი მდგომარეობისა და ტენდენციების მონიტორინგს, ასევე იმ საფრთხეების გამოაშკარავებას, რომლის წინაშეც დგას ბიომრავალფეროვნება. შეფასდება გარემოს დაცვის ეფექტურობა და კონსერვაციის ზომები. ბიომრავალფეროვნების შეფასება ხდება 3 ტიპის ინდიკატორის გამოყენებით: **ზეწოლის ინდიკატორები (P)** აღწერს სხვა-

დასხვა ფაქტორს, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ბიომრავალფეროვნებაზე. ეს ფაქტორებია: მიწის ფრაგმენტაცია, სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეთევზეობა.

მდგომარეობის ინდიკატორები (S) აღწერს ბიომრავალფეროვნების მდგომარეობასა და განვითარებას. მრავალფეროვნების სამი დონე გამოიყოფა:

გენეტიკური მრავალფეროვნება

ჰაბიტატების მრავალფეროვნება

სახეობათა მრავალფეროვნება

რეაგირების ინდიკატორები (R) აღწერს

განვითარების იმ ტენდენციებს, რომლებიც

ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების

შენარჩუნებას (მაგ. დაკანონებული და-

ცული ტერიტორიებით დაკავებული

საერთო ფართობის ცვლილება, ბუნებისა

და ლანდშაფტის კონსერვაციისათვის

გამოყოფილი საერთო დაფინანსების

ცვლილება, ბიომეურნეობის პრინციპების

შესაბამისად მიმართული სასოფლო-სამე-


ურნეო ტერიტორიების საერთო ფარ-

თობის ცვლილება)

მიმდინარე სტატუსი

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის დაარსების კანონიერი საფუძველია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 22 მაისის № ი-293 ბრძანება.

დადგენილია ყველა ინდიკატორი და ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფი. 2009 წლის დასასრულისთვის შემუშავდება ინდიკატორთა მონიტორინგის მეთოდოლოგიები, 2010 წელს კი დაიწყება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის განხორციელება.



Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

შ.პ.ს. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა, სამხრეთ კავკასია

გულუას 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 - 201828

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური

გულუას ქ.6
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-727231

ტქსტი: ქრისტინა შტრაუბი
ფოტოები: © როლფ შულცკე
დიზაინი: © GTZ
ბეჭდვა: პოლარის პრინტი, თბილისი

08/2009